ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

დ. სტეფანწმინდა

განკარგულება:**g-103. 103231514**
თარიღი:**31/05/2023**

,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (1100 ლიტრიანი მეტალის ნაგავშემკრები 40(ორმოცი) ცალი კონტეინერი) ა(ა) იპ ,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, ფუნქციონირების ვადით, თხოვების ფორმით გადაცემაზე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების, 122–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის , ამავე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 15 მაისის N102-1022313539 წერილის გათვალისწინებით:

მუხლი 1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება (1100 ლიტრიანი მეტალის ნაგავშემკრები 40(ორმოცი) ცალი კონტეინერი)ღირებულებით 60 400 (სამოცი ათას ოთხასი) ლარი, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, ფუნქციონირების ვადით, თხოვების ფორმით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადასცეს ა(ა) იპ ,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს";

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მისამართზე: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ.N17-ში, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

დავითი ქირიკაშვილი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი